საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2790-02
09/11/2016

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2016 წლის 7 ნოემბრის N2755-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 ნოემბრის N24 ოქმის საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, რის საფუძველზეც გამოიცა 2016 წლის 7 ნოემბერს N2755-02 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, სადაც დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და ,,ფილოსოფიის მიმართულების“ ნაცვლად ჩაიწერა ,,რომანისტიკის მიმართულება“. ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით,
”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 4 ნოემბრის №24 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2016 წლის 7 ნოემბრის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N2755-02 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ბ) ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;
2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გიგა ზედანია

რექტორი